# თეატრი

გაზეთის ფასი:
ერთის წლით — 5 მ. ნახევარის წლ. — 3 მ. ცალკე № 10 კ.
ხელის მოწერა და ფოსტით გაგზავნა შეიძლება
ამ ადრესით: Тифлисъ, въ контору „Театръ.“

№ 2

რედაქცია არ კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ წერ-მოწერას.
გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს უნდა ჰქონდესთ მოწერილი, სახელი, გვარი და ადრესი ავტორისა.

კვირა 7 იანვარი. 1865 - 1890 კვირა 7 იანვარი.


ქართული საკვირაო გაზეთი

## თეატრი

ამა 1890 წელს გამოვა კვირაში ერთხელ, ახალის თანამშრომლების მონაწილეობით. რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს რომ გაზეთი გაუმჯობესოს და საზოგადოების ნდობა-ყურადღება დაიმსახუროს.

რედაქციაში მუდმი მონაწილეობას მიიღებს. თ. აკაკი წერეთელიც გაზეთის გარდა, რომელიც თავ-თავის დროზედ აუცილებლად გამოვა, ხელის მომწერლებს დაურიგდებათ უფასოდ ექვსიდამ თორმეტამდე ახალი წიგნი ანუ სურათი.

გაზეთის ფასი წლიწადში 5 მან., ნახევარ წლობით 3 მან.. ვისაც წლის ფულის წინადვე შემოტანა არ ეხერხება, შეუძლიან 3 მან. ეხლა წარმოადგინოს და 2 მან. პირველს მარტსა. სოფლის მასწავლებელთ და არტისტებს გაზეთი დაეთმობათ 3 მ ნათად.

ვინც ამ იანვრის განმავლობაში 5 მანეთს სრულად შემოიტანს — იმას გაეგზავნება უფასოდ, აღთქმულ წიგნების გარდა, კედლის კალენდარი, ანუ „სახალხო სურათებიანი კალენდარი“, გამოცემა გრ ჩარკვიანის და ფეოდ ცხადაძის წიგნის მაღაზიისა.

აგენტები და განყოფილებანი „თეატრის“ კანტორისა: გორში — ბ-ნი სოფრომ მგალობლიშვილი და ილ. სატრიოევი; ქუთაისში — წიგნის მაღაზიები ბ.ბ. ჭილაძისა და წერეთლისა; ბათომში — მისე ნათაძე; სენაკში — სამსონ ჟიჟიანი. სხვათა სახელი გამოცხადდება.

ხელის-მოწერა მიიღება „თეატრის“, კანტორაში ქ თბილისში სასახლის ქუჩაზედ, სააზნაურო ბანკის თეატრის ქვეშ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. въ контору газеты „ТЕАТРЪ“

### „თეატრის“ კანტორისაგან

ჩვენ შევიტყეთ, რომ პირველი ნომერი „თეატრისა“ თავის დროზედ არ მიგვლიათ, ვისაც გავუგზავნეთ, დამტარებელის გამოუცდელობის გამო. ზოგს ხელ მეორედ ვუგზავნით. ვეცდებით შემდეგ ესეთი უწესოება ავიცილოთ.

ქართული თეატრი

სამშაბათს 9 იანვარს,

ბენეფისი

გ. ვ. გედევანოვისა.

ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილ იქნება:

I

## დონ-ჟუან

ხუთ-მოქმედებიანი კომედია მოლიერისა, თარგმანი ს. ჰრელაშვილისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, მესხიშვილისა: ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, ცაგარელი, კანდელაკი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

თბილისი, 7 იანვარი.

რა უნდა ჰქონდეს ჩვენმა თეატრმა, მალიან კარგათაც-რომ ასრულებდეს თავის მოვალეობას, თუ მაყურებლებს მუქთი ბილეთებითაც ვერ შეიტყუებს? თვით თეატრის ეხლა, ცოდო იქმნება, რამიმე დავჰრდუროთ. წინანდელი აყალ-მაყალი, არეულობა, ერთმანეთის გაუტანლობა ეხლა დაკიწყებულია. მის ნაცვლად ყველას ახსოვს საქმე, ყველა სცდილობს თავი იჩინოს და არ შერცხვეს. თეატრი თავის ვალს შემძლებისამებრ ასრულებს, და ჩვენს უგულობას მაინც არა ეშველა რა. თუ რომელსამე არტისტს ერთი ფეხი გადუბრუნდა, ჩვენ მაშინვე მოვყვებით ყვირილს, ტყუილად გვცარცავენო, არა ღირს თეატრში სიარულიო; და როდესაც თეატრი, ჩვენთვის გაზღებული და ჩინებულად მოშზადებული, ცარიელია, როგორც უკანასკნელ წარმოდგენის დროს, 2 იანვარს; როდესაც არტისტები გულ-დაწყვეტილი მტირალის გულით, ძალიან ხარხარობენ სცენაზედ — ეს ჩვენთვის შეუმჩნეველად ჩაივლის ხოლმე. სწორედ გასაოცარია ჩვენი არტისტების თავ-დაჭერილობა, ისე მშვიდად, დაწყნარებით და გატაცებით თამაშობენ, თითქო თითო სკამზედ თითო ბაყაყ-ლომს მოელოდენო. ნივთიერ სარგებლობასაც-რომ თავი დავანებოთ, ყველამ იცის, რომ არტისტი ყველაზედ უწინარეს თხოულობს ყურადღებას. თუ ერთხელ-ორჯერ საზოგადოებამ ტაში არ დაჰკრა, რაც უნდა მხნე და დიდი აკტიორიც იყოს, მაინც გულს აუცრუებს. თუ ეს მართალია, მაშ რაღას უნდა გრძნობდეს ჩვენი აქტიორი ცალკე და ყველანი ერთად, როდესაც თეატრი ცარიელია, როდესაც არამც-თუ შრომის ჯილდოს არ მიიღებს, არამედ, თეატრიდგან

## ფელეტონი

ზოგიერთი ფიქრი.

ერთი მეტად ახირებული, დაუდგრომელი ხასიათისა და შავი ფიქრების მპყრობი მეგობარი მყავს, რომელსაც სრულიად თავისებური აზრი და შეხედულობა აქვს საწუთროზედ, თავისებური მიზიდულებანი და მიზნები უთბობენ გულსა, უსიყვარულებენ მართლა ბუნებასა და არსებას. ცხოვრება მისთვის ერთს წრეს გადასულს და მოშხამულს ზნეობის წარმოადგენს, სადაც ბოლს ნარის გასასვლელიანის გზით მავალს ადამიანს „დღე მუდამ, ყამის ყოველის“ ხვდება მხოლოდ ველური მტაცებელთა ბარ ყოფაში საწყალობის ფეხის სტომაქში ჩასაშვებად. დედა-მიწა, ეს თვალ უწვდენელი ასპარეზი ადამიანთა მოქმედებისა, იმის აზრით, მხოლოდ ბრძოლისა და ღვინის მეუფების ფართო ადგილია, რომელზედაც თავ-შეუკავებლად და უფროდ დასრბიან სასიკვდილოზედ ხელ-აღებულნი და შურ-გონებისაგან დაწყლულნი თვალთ-მაქცნი. ისტორია-კი, ეს საშინელი ომი და ტანჯვა განუწყვეტელი ცხოვრებისა, გამოსახულია აქვს მხოლოდ ბოროტისა და ძალმომრეობის წარმომადგენელთა სიამედ და ერის იმათ უშველებელს საკვირველ დღესასწაულად. შემოკრების, სათნოებას ერთის სიტყვით რომ იტყვიან „მართალს“, ადგილი და ნიადაგი არ მისცემია იმათ საშველად, ვინც ისტორიის უკუღმართობამ მწარე მართლისა და ჭკვანჭყვეტით მიმავალს ცხოვრებას მაგრად მისცა...

ამ დაჭაობებულის წუთი სოფლის „სიცოცხლისა და სამოთხის“ სამყოფ ადგილად გარდაქმნას და გარდაქცევას უნდა შეეწიროს, იმის ფიქრით, მართალი გული კაცობრიობის იმ მცირე ნაწილისა, რომელსაც ბედმა წილად არგუნა აღიარონ „ცოდვანი სოფლისანი“ და ქვეყნის ჭირის-უფალნი გახდნენ. მრავალგვარი და მრავალ-ფეროვანი გული იმ კითხვებისა, რომელთაც, „დაწყევლილს კითხვებს“ ეძახიან, შავ ტვინის ფერ დარღვევისათვის და გულის შემზარავ ყოფნისათვის მოიწოდის დაწინაურებულის ინტელიგენციის ტვინსა და გამბედაობას და გონებით წარმატებული შვილი თავის ქვეყნისა ამ კითხვებს უნდა გადაჰკიდეს, თუ უნდა ცხოვრების გაუმჯობესობა და განსწორებაო...

და მუდამ ამ „დაწყევლილს კითხვებზედ“ ფიქრობს ჩემი მეგობარი, ქვეყნის სატირალს და საცოდავებს იგი სტირის და ისედაც მწარესა და მოკლე სიცოცხლეს უფრო იმწარებს და იმოკლებს...

იცი, მეგობარო? — მიუბრუნდი ჩემს პესიმისტს მეგობარს, დიდი თავი გაქვს მედა ჩემს ღმერთმა, ბევრი და თავის ანდაზისა არ იცის; რას გამოკიდებიხარ, შე დალოცვილი-შვილო, ამ მარტოს და დაწყევლილს კითხვებს და ყოვლად ესმარებლად, უკანასკნელად თვალებს იმარტ და იცვამ.

თავი დაანებე მაგ გვარ საგნებს, ნუ თუ ცხოვრებას არ შეუძლია სხვა მხარე გაგვაროს!

— „გართობაც არის და გართობაც. შენი არ ვიცი და ჩემს დაჰკრავს, დასერილს ბუნებას ველარ გაართობს ის, რაც უმრავლესობის მოთხოვნილებად გადაქცეულა... სული გიწუხს, გული გიკვდება და ტვინზედ მოწოლილს შავს ფიქრებს ვერ უშველი, როდესაც ჩვენი საზოგადოების ცხოვრებას დააკვირდები, — მეუბნებოდა ერთხელ ჩემი მეგობარი, როდესაც ჩვენ ქართველი საზოგადოების ვითარებაზედ ჩამოვარდით საუბარი.

„ — მართალი ჩვენი ცხოვრება, მართალი ჩვენი, ესრედ წოდებული, „განათლებული საზოგადოება“ თვითეულს თავის მქონს თავდაპირველად ყურში იმას ჩასძახის, რომ ამ წუთი-სოფლად მხოლოდ უშიშარსობისა და უსაქმურობის, გარყვნილობისა და ლაქიობის პროპაგანდასა და გამარჯვებას უნდა შეეწიროს ჩვენი ძალ-ღონე, ნიჭი და გამოცდილებაო; მარილდაც, ამ საზოგადოების „ღირსეული შვილი“ მალე რწმუნდება, რომ ცხოვრება ბრძოლა კი არა, სადღეოლო დღესასწაულია, სადაც თავისუფლად ჯირითობს მძლევს მოსილთა თვით-ნებობა და „ამიტომ“ არსებობს „მშვიდობა და გაცთა შორის სათნოება,“ მეორედ, იგი, ადვილის, მსუბუქის ხელის განძრევით კეთილის, ქეიფობს და ღხინს ეტანება, რომ „უდარდელად და უშიშრულად“ დალიოს დღენი თვისნი; მესამედ და უკანასკნელად, იგი სრულიად ჰკარგავს ადამიანურს ცხოვრებაზედ წარმოდგენას და ის მეტად მცირე გონებითი საზრდო, რომელიც მისთვის «უმაღლეს? შკოლას» «მოუწყნლებელ მასალად» მიუწერებია, სულ ღადღან ეკლება და მხოლოდ ცხოველურის ინსტინკტებით სცხოვრობს. ადამიანურის ცხოვრებაზედ ბაასი და სჯა, საზოგადო საქმისადმი გულ-მხურვალედ სიყვარული, ძმობისა და მეგობრობის უმანკო გრძნობა ჩვენის «განათლებულ საზოგადოების» წევრთა დაბნელებულს გონებას, სიცრუეთი, ზორებით და ფარისევლობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო გამოვა, ლუკმა პურიც სათხოვნელი ექმნება!

ეს სწორედ სამწუხარო ამბავი აუცილებლად გათავდება ჩვენი თეატრის მოსპობით, თუ თვალი არ გავახილეთ და ჩვენ საჭიროებას ყური არ ვათხოვეთ.

## „კიკოლას ნაამბობიდამ“

(ისტორიული პოემა)

ერთხელ დავარდა ჩვენში ხმა:
„ქართლს მოსდგომია ჭირიო,
ასაკლებ-ასაოხრებლად,
შეუკრავთ თათრებს პირიო;
აღა-მაჰმად-ხან მოუძღვის
თეჯირნით წამოსულიო,
ქალაქს უპირებს აღებას
ის ხოჯა გულ-მოსულიო!“
განრისხდა მეფე ირაკლი —
გალომებული ხელია...
სთქვა: „ვაი, რა დროს მომასწრეს,
ღონე რო შემომელია!!...
სიბერემ დამაუძლურა,
დამიუძლურდა ერიო,
თორემ ამ თავის აგდებას
ვერ გაჰბედავდა მტერიო.
ათ-ათი მოჰყავს თითოზე,
სჩანს, იმედი აქვს რიცხვისო;
მაგრამ ქართველი ვაგლახად
არვისგან გაკიცხვისო:
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება,
სირცხვილს კი არ სჭამს გმირიო,
მაგრამ გაწყდება ქვეყანა
და ამას უფრო ვსტირიო!...“
წადგა სოლომონ მდივანი,
სთქვა: „სიტყვას გკადრებთ ერთსაო:
გადუკვალია ჩვენს თავზედ
ის, რაც სცურს მაღალ-ღმერთსაო!
წინ ნუ შევხვდებით მომსვლელ მტერს,
აქ შევაგროვოთ ჯარიო;
ტფილის ქალაქში გავმაგრდეთ,
დავკეტოთ ციხის კარიო.
შევატყობინოთ სოლომონს,
რომ მოგვაშველოს ჯარიო,
და მაშინ ამოვიყაროთ
ყიზილბაშების ჯავრიო!“
დაუჯდა რჩევა ირაკლის
და მდივანს მადლი უბრძანა.
საჩქაროდ წიგნი დასწერა,
შვილის-შვილს გამოუგზავნა....
მოუწერა: „მეფობით ძმავ,
სისხლით ჩემო შვილის-შვილო,
მაგრამ შვილის თანასწორო,
საიმედოვ, ნუგეშ-ტკბილო!
ღმერთმა ის დღე შენს მტერს მისცეს,
რაც დღე აღგეს პაპა შენსა:
აოხრებას უპირობენ
მის ნაღვაწლს და მის ნაშენსა!
თეჯირანით წამოსული
ხოჯა ხანი, ის ღვთის მტერი,
და უნდა რომ ჩვენს ქვეყანას
აადინოს რისხვით მტვერი;
ჯარი მოჰყავს უთვალავი,
მე არ მყავს არც მეათედი! —
სიბერის დღეს ღმერთს შევძულდი
და მღალატობს, ვხედავ, ბედი.
პეპელავ ზენას, უბრალო ვარ!...
შინ საქმე მაქვს არეული....
ყველა ერთად ამტესია —
შინ მუღობა და გარეული.
ოხვრით ვხედავ უფლის-წულებს,
რომ ერთმანეთს ჰგლეჯენ კალთას;
სხვა და სხვა მხრივ მიიწევენ,
ზოგი ალთას, ზოგი ბალთას!...
ანდერძი და ჩემი აღთქმა
გამიცუდდა, გამიქარწყლდა:
დაბალ-ღობე მივაჩნივართ —
უძლურიც კი გამიძალდა!...
შინ ბევრი მყავს მოღალატე,
გარეთ მტერი უთვალავი!..
რას გააწყობს მარტო ჩემი
ფარ-ხმალი და გულ-მკერდ-მკლავი?
მას შემდეგ რაც საქართველო,
ორ ნაწილად გაყოფილა,
მშვიდობა და მოსვენება
აღარც ერთში არ ყოფილა.
გვავიწყდება, რომ ძმები ვართ,
ერთმანეთის განაყარი;
ერთის სისხლით მორწყული გვაქვს
მინდორი, ტყე, მთა და ბარი.
ერთი დედის შვილები
არის ამერ-იმერეთი!..
ჩვენ ძმები ვართ ტყუპის ცალი,
საქართველო დედა ერთი!..
ცალი ძმა რომ ჩამოსჭრან
და შემშილმა მოჰკლას ერთი,
ცალ ძმას და მეორეს ძმას
რაღა შვებას მოსცემს ღმერთი?
მოდი, შვილო, მომეშველე,
იმერლები მომაშველე!!
ერობა და ქრისტეს რჯული
ორივ მხარეს გაამყარე!..“

აკაკი.

## ქართული თეატრი

სწორედ მოგახსენოთ, გული არ მიმდის ვსთქვა რამე 2 იანვრის წარმოდგენაზედ: ისე ცოტა ხალხი დაესწრო, რომ, საითაც მიიხედავდი, მხოლოდ მევაზეთეები გეჩხირებოდნენ თვალში. „შეშლილმა“ კომედია-დრამამ, რაც შეეხება მოთამაშეებს, კარგად ჩაიარა. ყველამ ჩინებულად შეასრულა თავ-თავისი როლი. ბ-ნმა სვიმონიძემ, მობენეფისემ, რომელსაც საჩუქრის ნაცვლად ერთი ტკბილი სიტყვაც არ აღირსეს, საუცხოვოდ წარმოადგინა ექიმი გარრისონი; სახის გამომეტყველება, მიხრა-მოხრა, ხმა ისე აწონილ-დაწონილი ჰქონდა, რომ ერთს მცირედ შენიშვნასაც ვერ მოვახერხებთ იმის წინააღმდეგ. ტიპი ექიმისა, ბ-ნი სვიმონიძისაგან შექმნილი, დიდხანს დაგვამახსოვრდება. ბ-ნ მესხს ქება არ უნდა, უჩვენოდაც ცნობილია.

„დროებითი სიყვარული“ თვითქო ქ. საფაროვის ნიჭის თავ-საჩენად იყოს მოგონილი: დაქლიტა მთელი თეატრი სიცილით; ბევრს ვაჟ-ბატონს აალებინა თავი დარბაისლობაზედ და დააწყებინა ხარხარი. პიესა მეტად ცოცხლად არის დაწერილი, ბევრი „ნაკვესები“ და „დამაკვირდები“ ურევია. მაგრამ გართობის მეტი სხვა აზრი არა მოიპოვება-რა.

სავსე აგებულებას, სასაცილო მასალად არ ჰყოფნის და სდევნიან იმათ მრთელის თავისის არსებით და ცხოვრებითა. ამ უსირცხვილოდ პირ-ასხდილის და გაფუქებულის ცხოვრების წუმპეში ნათრევი გაიძვერა დაუყენეთ პირის-პირ ნამდვილს ადამიანურს ცხოვრებას, დაასტაკეთ უკეთილშობილესი მიზიდულებისა და უმაღლესი მიზნებით შეჭურვილს კრებულს ადამიანებისას და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ეს ჩვენი «დალოცვილი ცხოვრების დალოცვილი-შვილი» ადამიანის ბუნების, ღირსების დამამცირებელი და შემლახველი ყოფილა და მეტი არაფერი. წარმოიდგინე იმის მდგომარეობა იმ დროს, როდესაც დარწმუნდება, რომ ცხოვრება მძარცველთა და გაქნილების ბრბოთა სადგური კი არა, ღვთისა მსგავსებით შექმნილი ადამიანების ჭკუისა და გრძნობის, ხასიათისა და ზნეობის ძალ-ღონისა და შეძლებულობის მაწარმოებელი და გამომჩენელია. როგორის თვალით უნდა შეხედოს მან ცხოვრების მოთხოვნილებათა და მოვლენათა შორის ატეხილს წინ-აღმდეგობასა და რთულს უკუღმართობას?...

რასაკვირველია, ფუჭი გულის პატრონი და ჭკუა-გონებისაგან დაწურული არსება ადვილის და მსუბუქის ხელის-პოტინით დაუწყებს „ღლაბუცს“ საზოგადო კითხვებს, საქვეყნო დარდებსა და ვარამს და ქარის ქროლვის დროს ჰაერში აფარდნილი ნაფოტივით მიჰყვებ-მოჰყვება ხრწნილების მორევში აფარდნილს ტალღებს. იგი, ერთი დამრგვალებული მწერისა არ იყოს, ერთის სიბინძურიდგან მეორე სიბინძურეზედ „მარდად და ამაყად“ გადასტებ-გადმოხტება. მაგრამ აი, დგება დრო დასასრულისა: უზრუნველი ცხოვრების გზები განვლილია, სიჭაბუკის დღენი ლოთურსა და ლაქიურს დარდიმანდობაში დალეულია. ძალ-ღონისაგან დაცლილი კაცი დაცრეცილის თვალებით „სხვას“ შესცქერის და „სხვის“ ძღუტურში ლევს სულსა...

უშრომლოდ დროს გატარება, სხვის ძღუტური და ლაქიური ყოფა-ქცევა ჩვენი „დალოცვილი ძველი დროის“ ნაწყებულეკი პირმშო შვილია... ძველ დროს თავისი განსაკუთრებული საზოგადო ეკონომიური დედა აზრი ჰქონდა ცხოვრებაში აღიარებული და ეს დედა აზრი აძლევდა ტონს და მიმართულებას მრთელს მაშინდელს ერთი-ერთობასა და განწყობილებას. რასაკვირველია, საზოგადობრივი მდაბიანობა, მომავალი ცხოვრების გალაზათიანების ნაყოფიერი სხვა ბუნებითად არ დაჰყოლია და ვერც დაჰყვებოდა ამ დედააზრს, მაგრამ, საერთოდ რომ ვსთქვათ, მაშინდელი ძალთა და წოდებათა განაწილების მდგომარეობა დროის შესაფერად მაინც აუცილებელს ისტორიულს საჭიროებად სთვლიდა ამ წოდებადა შორის დარდგენილს უფლების არსებობას.... მხოლოდ აქედ, როდესაც ტანჯულთა ცხოვრება ბატონ-ყმობის მწარე უღლიდგან თავის დახსნის ჟამს მოუახლოვდა, მაყურებლის თვალს ნათლად ეწარმოუდგა რაღაც არეული და უმსგავსო წუმპე, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ ემჩნეოდა არავითარი მოფიქრებული განწყობილება და რიგიანობა. ამ დანაშაულობას თავზედ ვერ წაადგებოდი, იმიტომ რომ მრთელი მაშინდელი ჰაერი გამსჭვალული იყო მაშინ კი დროის შეუფერებელისა და წრეს გადასულის საზოგადო ეკონომიურის განუწყობელობითა...

ხავს მოკიდებული ცხოვრება თავისი ველურის ინსტინკტებით სრულიად გამოჩნდა და გაიშალა გამწარებულის მამულის-შვილთა ჭკუა-გონების თვალის წინ და იგინი მხნედ შეუდგნენ ძველი ცხოვრების უარის-ყოფას და ახალი მიზნებისა და ვალდებულობის განხორციელებას...

ბატონ-ყმობა მოისპო, მამული-შვილთა უმანკო და პატიოსანი აზრების ქადაგებაც... შესწყდა. ჩვენს „საზოგადოებას“ რაღაც გამოურკვეველი და ფრთა შეკვეცილი ცხოვრების ფორმები შემოეხვია და თუმცა ამ ფორმებს იგი ძალა უნებურად დაემორჩილა, მაგრამ ბუნებით, აზრით, ხასიათით და ზნეობით ეს საზოგადოება ისევ ძველებურის, წინანდელის თვისებით შერჩა ახალს პირობებს და ცხოვრების მოვლენათა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: სიტყვით ჩვეულების, ძველი, შეთვისებულის ზნე-ხასიათის უარის-ყოფა და იმ აზრის მიღება, რომ ახალი ცხოვრების მიმდინარეობას მხნედ და პატიოსნად გაჰყოლა უნდა, — ყველა ეს ახალი აზრების ხორცსა და სისხლად გარდაქცევასა და ახალი ბუნების შექმნას როდი ნიშნავს! წინა-პირველად, — ღვთის წინაშე რო ვსთქვათ, — მეტის მოთხოვნილება კაცისაგან შეუძლებელიც არის და აი, ამიტომაც მოხდება ხოლმე, რომ ძველი ბუნების, ძველი ზნე-ჩვეულების მოყვარე ადამიანი მხოლოდ წუთიერის ანგარიშებით ხელ-მძღვანელობს და სრულებით არ ზრუნავს თავის ბუნების ძირეულად გარდაქმნასა და პატარა, მაგრამ სასარგებლო ვალდებულებათა ცნობიერად და სინიდისიერად აღსრულებაზედ.

გავკანდიერდები და ჩვენს საზოგადოებრივს დღეინდელს ცხოვრების მდგომარეობას შეუდარებ განათლებულს, კულტურით დაწინაურებულს ერთა ვითარების იმ ხანას, რომელსაც ისტორიაში საშუალო-საუკუნოების ბნელს დროს ეძახიან. როგორც მაშინ კაცობრიობის მწარე მდგომარეობა, ისე დღეს ჩვენი დაბნელებული საზოგადო ცხოვრება მიემსგავსება ერთს ვრცელს, თვალით გაუწვდენელს უდაბნოს, სადაც თავ-მინებებული თვით-ნებობა, გამოურკვეველი სვე-ბედი და ბოროტი ძალა თავის სურვილისამებრ ათარეშებს, არბევს ყოველგვარს ცოცხალს და რიგიანსა. ადამიანის ბუნების კანონიერი სულის თქმა, აზრის თავისუფალი ტრიალი, კრიტიკის ზრდა და წარმატება თავის ჩენისა და დაბადების უმალვე ისპობა, ივსება და ცხოვრება მხოლოდ შემთხვევით ამოვარდნილს ქარიშხალის, ბედის გადამწყვეტ სტიქიონის ძალებს მიჰყვებ-მოჰყვება. ადამიანს, როგორც ყოველგვარ ცოცხალსარსებას, სიცოცხლე სწყურია, მოძრაობა უნდა, რადგანაც ეს ბუნების მოთხოვნილებაა არის, მაგრამ ამ კეთილს სურვილსა და მოთხოვნილებას ნიადაგი, ცხოვრების არე-მარე კი უარს ეუბნება.

ამ ნაირს პირობებში მოთავსებული ადამიანი ტვინგაშეშებული სდგას, დიდი ხნის დაავად მყოფებულივით წელ-მოწყვეტილი მოკეცილია და გაბრუებული იმისი ოცნება ცაში, ღრუბლების ნაპრების ზევით, ეძიებს ბედნიერების სადგურს. მაგრამ სურვილი და აზრის ქროლვა იქაც, ღრუბლების ზევითაც, ვერას პოულობს, გამწარებული უკანვე უბრუნდება «სიკვდილისა და ჯოჯოხეთის» სადგურს და, ვით მშობიარობის დროს დედა-კაცის კივილს და ამოკვნესას სიკვდილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიბლიოგრაფია.

,,იავ ნანამ რა ჰქმნა, „მოთხრობა მოზრდილ ყმაწვილებისათვის, დაწერილი ბ. იაკობ გოგებაშვილის მიერ.

ეს თხზულება ჩვენი გამოჩენილი პედაგოგისა და მოღვაწისა. სუფთად და კარგს ქაღალდზე არის დაბეჭდილი. ფასი წიგნისა ორი შაურია.

## ხალხური ლექსები.

1

ჭრელია, ჭრელი წუთისოფელი,
ტალღებით სავსე მიუდგომელი:
ნამუსიანი შრომით კვდება,
უნამუსოსა რჩება ყოველი.

2

იმერეთი დამივლია,
ქართლი შემიჯერებია,
არ მინახავს შენისთანა —
ყელი მოგიღერებია;
წამწამსა და წამწამს შუა
ბზელი გაგიშენებია
შიგ სურვილი დაგინერგავს,
კაცი მოგიყენებია.

## წერილი რედაქციისადმი

### ახალ-წლის „ივერია“.

როცა გაზეთი ,,ივერია'' პირველად დიბადა ახალ-წლის ღამეს, სწორედ რომ სასიამოვნო სანახავი იყო: გაზეთი სავსე იყო კარგი წერილებით, ფელეტონით, ლექსებით, ექსპრომტებით და ნაკვესებით. მას აქეთ გავიდა აგერ რავდენიმე წელიწადი; იმედი გვქონდა გაზეთი თან-და-თან უფრო გამშვენიერდებოდა. მაგრამ, ვაი თქვენ მტერს! წლევანდელმა ახალ წლის ნომერმა სრულიად გაგვიქრო ეს იმედი. ვინც-კი წაიკითხა ეს ნომერი, უეჭველია, დარწმუნდებოდა, რომ დღეს ეს გაზეთი ისეთს ძიძებსა და გამდლებს ჩავარდნია ხელში, რომ თუ მალე არ უშველა პატრონმა, სწორედ მოგახსენოთ, ცუდი დღე მოელის. თუ არა გჯერათ, აიღეთ ბატონებო, წრევანდელი ახალ-წლის ნომერი და შეადარეთ იმ ახალ წლის ნომერს, როცა ამ გაზეთმა პირველად მოგვილოცა ახალ-წელიწადი.

მთელი წლევანდელი პირველი ნომერი ვილაც „ბიჭო-გოგიებისა“ და ,,დონ-იაგოების‘ მესტვირულ ლექსებითა და ლაზღანდარობით არის ავსებული. მკითხველს უნებლიედ ებადება კითხვა: სად ბრძანდებოდა პატრონი და რედაქტორი ამ გაზეთისა? ესეთს უსუსურ ყმაწვილებს როგორ ჩაუგდო ხელში თავისი გაზეთი და მიანება თავი? რატომ თვითონ არ წაიკითხა ის, რაც უნდა დაებეჭდათ საახალწლო ნომერში მაინც? რა პასუხს აძლევს იგი თავიანთ ხელის-მომწერლებს და მთელს ჩვენს მკითხველ საზოგადოებას, რომელსაც კარგის მეტი არა დაუშავებია-რა მისთვის? ჩვენ არ გვჯერა, რომ ბატონს „ივერიის“ რედაქტორს არა ჰქონდეს საზოგადოებისადმი იმოდენი პატივისცემა, რომ მასხარათ არ აიგდოს იგი და ახალ წლობით ესეთი მძაღე გოზინაყით არ დაიბეროს, როგორც წელს.

ყველაზე უ რო საკვირველი კიდევ ის არის, რომ ბ-ნ ილია ჭავჭავაძეს არა ერთხელ და ორჯელ დაუბეჭდია თავის გაზეთში ერთი მეტის-მეტად მოსაწონი აზრი და დღეს მისმა გაზეთმა თვითვე გააქარწყლა ეს აზრი. ჩვენ აი რაზე ვლაპარაკობთ, მკითხველო: ბ-ნი ილია ჭავჭავაძე ბევრჯელ ამტკიცებდა, რომ ჩვენში ადამიანს ჯეროვანი პატივის დება არა აქვსო, კაცის უსამართლოდ გალანძღვა და გაკიცხვა საქებურ საქმეთ მიაჩნიათო, და ქადაგებდა, რომ ადამიანის პიროვნული პატივი და ხელ-უხლებლობა ბეჭდვითი სიტყვაში უნდა მარადის სასტიკად იყვეს დაცულიო და სხვა ძრიელ კარგი და პატიოსანი! მაგრამ აბა ახლა აიღეთ მისი გაზეთის წლევანდელი პირველი ნომერი და წაიკითხეთ გულდადებით. თქვენ დარწმუნდებით, რომ ადამიანის ისეთ გალანძღვას, გათრევას და ტალახში ამოსვრას, როგორც „ბიჭო გოგიას“ და ,,დონ იაგოს'' ჩაუდენიათ ამ ახალ წელიწადს, ჯერეთ არავინ [illegible] ჩვენ ღარიბ ლიტერატურაში. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ! ენა უძვლოაო, რუსები ამბობენ*).

წუალტუბელი.

# ტელეგრამები

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ ის მიწები, რომელიც ჰქონდა სარგებლობაში ყუბანის ყაზახთა ჯარს ყუბანს იქით, დაუმტკიცდეს ამ ჯარს სამუდამო საკუთრებად, და ამას გარდა მიეცეს ტყეები მიხოშევსკისა და ბელორეჩენსკისა და აგრეთვე ესრედ წოდებული მთიანი ადგილები.

,,Нов. Время'' სიტყვით ორი რკინის გზის გაყვანას აპირებენ კავკასიაში: ერთი კავკავიდამ პეტროვსკამდე და კასპიის ზღვის პირად ბაქომდე, მეორე როსტოვისა და კავკავის რკინის გზიდამ გორამდე როკის ხეობაზე. განასვლელზე ამ ორისავე გზის შესახებ კიდევ ცნობას შეკრებენ.

ათინა. კრიტის კუნძულზე ხომალდების პრეზიდენტებმა შეიტანეს ქაღალ-

*) ამ წერილის ავტორი მეტად ცნობილი პირია ჩვენს მწერლობაში და ამიტომ არ შეგვეძლიან არ დაგვეთმო მას ადგილი აზრის წარმოსათქმელად, თუნდა რომ ჩვენი წინააღმდეგიც იყოს.

რედ.

---

მეტი ვერავინ შეაჩერებს, ისე ვერ შეაჩერებთ საცოდავი ადამიანის გულიდგან ინსტინკტიურად ამომსკდარს გამოძახილს:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო....“

შენ თვით გულ-წრფელად წარმოიდგინე, მეგობარო, თუ რანაირს მდგომარეობაში უნდა იყვეს ჩავარდნილი იმ ცხოვრების სვე ბედი, სადაც ეს გაცვეთილი ჭეშმარიტება და ელემენტარული მოთხოვნილებაც კი სანატრელ საგნად გამხდარა....

— გადაჭარბებულმა უარის ყოფამ უკიდურეს დასკვნას მიგაწყვიტა, მეგობარო,— შეუბრუნე სიტყვა მე. ნუ თუ მართლა ჩვენს საზოგადოებას არავითარი აზრი არ მოეძებნება, რომელიც სიმართლედ და ჭეშმარიტებად შეიძლება მიიჩნიოს ადამიანმა? და, მართლა, ბ. ნ. მუჩაიძისა არ იყვეს, ახალ თაობას ძლიერ აქვს გახსნილი მადა უარის მყოფელობისა და კაი, თუ შენც, მეგობარო, ამ უარის-მყოფელთა გუნდს მიგასაკუთრონ! აი, რას ამბობს ბ. ნ. მუჩაიძე: „ჩნდება ავტორიტეტის უარ-ყოფა (ახალ თაობის მიერ), პატივცემულ მოღვაწეების შეურაცხება, თითქო პირველობას და მოთავეობას ვინმე მაშინ დაიმსახურებდეს, როცა ცარიელის სიტყვით სხვას ამცირებს და თავის თავს კი ადიდებს... ცოცხლებს ვინღა სჩივის, მკვდრებსაც კი არ ასვენებენო.“

—დიდად გმადლობ, შენ მე სამსახური გამიწიე ამით, რომ ბ. ნ. მუჩაიძის წერილი მომაგონე. (,,თეატრი № 1, 1890 წ.) ბ. ნ. მუჩაიძე სწორედ იმ სიტყვების ზევით, რომელიც შენ მოიყვანე, სრულიად სხვა, წინააღმდეგ აზრს გამოსთქვამს და მის მიერვე შეგინებული უარის-მყოფელი თვით გამოდის. ზევით იგი ეხება ძველ თაობას და ამბობს, რომ თვითეულს მათგანს ,,მარტო თავის თავი მიაჩნია ცხოვრების ბურჯად და ღრმად და სხვებს უნდობის თვალით უცქერის.., მოჰყვება ქართველი მწერალი გვსთქვათ პოეტი, თავის ქერქში რომ დგება: ყველას უნდა მისწვდეს, ყველას მოსცხოს თავისი მადლი — ისტორიას, ბუნების მეცნიერებას, ფილოლოგიას, არქეოლოგიას და სხ. და სხ. ამ ,,უთავბოლობას და უგზო-უკვლობას'' მოჰყვება ის ,,ზნეობრივი ხასია'', რომ ჩვენში დღეს კინტოებისათვის ვიღაც ასპატელოვის მიერ შეთითხნილს ,,სამოუჩიტელზედ'' აღზრდილნიც კი ლიტერატორობენ და, ბ-ნ ნ. მუჩაიძისა არ იყვეს, ცოცხით მისაგავი მწერალი, ვინ იცის, რამდენია!...

თუ მართლა სურათი ძველი თაობის მოქმედებისა ისეთია, როგორც ბ. მუჩაიძე ხატავს, მაშ რა გასაკვირველია, რომ ძველ თაობას პროტესტისა და წინააღმდეგობას უწევდნენ?! და ჩვენ გულწრფელად უნდა გვიხაროდეს, რომ ეს მოწინააღმდეგენი და ,,უარის-მყოფელები'' იმ წრიდგან გამოდიან, რომელნიც სულით და ხორცით, ხასიათითა და ენერგიით ჭაბუკნი არიან და ახალ-თაობის გუნდს ეკუთვნიან. ეს ბუნების წესია, ყოველს დაწინაურებულს ერის ცხოვრებაში ასე მომხდარა და რა-ღა მარტო ჩვენში არ დაუწერია საზოგადო კანონს თავისი რიგი!...

ამის შემდეგ არას ნიშნავს სიტყვები პატივცემულ პუბლიცისტისა: ,,ცოცხლებს ვინღა სჩივის, მკვდრებსაც კი არ ასვენებენო‘.

თუ ჩვენ მკვდრებს, ე. ი. ისტორიულს მოღვაწეებს, ვერ შევეხებით, რომ მათი მოსაზრება არ შევაფასოთ, ცოცხლებს, დღევანდელს მოქმედთა ღვაწლს არ განვიხილავთ, არ გავზომავთ, რომ საქმე ვაქოთ და საგინებელი ვაძაგოთ, მაშინ ხომ სრულიად მოვსპობთ ფხიზელი ტვინის იმჟამინდელს, კრიტიკას, ღრმა, სამეცნიერო სკეპტიციზმს შეხედულობას ისტორიულს მოვლენათა და საგნებზედ?

აი, ეს არის სწორედ ნამდვილი უარის ყოფა მეცნიერებისა, ხელოვნებისა და თვით ცხოვრებისაც: ეს არის ჭეშმარიტი და სრული ,,ნიჰილიზმი'', ანუ, თუ გნებავთ, იგივე თავზედ ხელ აღებული უარის ყოფა....ეგ და გვაკლდა!...

გარდა ამისა, უარის ყოფაც არის და უარის ყოფაც. ჩემის ფიქრით, თავადი მეშჩერსკიც უარის მყოფელია და ბ. ნ. შელგუნოვიც; ბატონყმობის მოსპობის დროს ჩვენში გრიგოლ ორბელიანიც უარის მყოფელი იყო და ბატ. ილია გ-მე ჭავჭავაძე. მაშასადამე, აქ საჭირო იყო განსაზღვრა, რომელს და რანაირს უარის მყოფელებზედ არის საუბარი. მაინც თუ მართლა ფაქტია, რომ ჩვენში დაიბადა ეგრედ წოდებული ,,უარის ყოფელობა'', უნდა უეჭველად, გაირკვეს აზრი გონივრული, საღი უარ-ყოფილობისა და იმისი საჭიროება ჩვენი ცხოვრებისა და ლიტერატურისათვის. ახლა კი ისევ ჩვენის საუბარს დაუბრუნდეთ. მე ძლიერ გიწუხარ, რომ ვერ გაიგე ჩემი უწინდელი აზრი. მოკლედ გიპასუხებ:

ჩვენს უმეცარს და ეგრედ წოდებულს, «განათლებულს საზოგადოებასაც», შეიძლება, ზოგიერთი პაწაწინა აზრი და მოთხოვნილება ჰქონდეს ურიცხვად თავის თვალისწინ გაშლილი, მაგრამ მე ეს პაწაწინა სურვილი და მოთხოვნილება წვრილმან, სრულიად უმნიშვნელო აზრებად და მოთხოვნილებად მიმაჩნია და ამიტომ არ ვაქცევ ყურადღებასა. ასეთი პაწაწინა სურვილი და მოთხოვნილება თანამედროვე ბიოლოგებმა უმდაბლესი ხარისხის ცხოველებშიაც გამონახეს... საზოგადოებისა და ცხოვრების ასაწონ-დასაწონად კი, ღრმად მჭრელისა და მოწინავეთა მსჯელობის დროს, პირველი ადგილი, უპირატესობა უჭირავს მხოლოდ საზოგადო ფილოსოფიურს დედა-აზრს, საზოგადო მიმართულებასა და რწმენას, მეცნიერებაზედ დამყარებულს მსოფლიო-ხედვა-შეხედულობას. რამდენადაც ამ უმთავრეს მუხლს, უახლოვდება ადამიანი და საზოგადოება, იმდენად მტკიცე და შეურყეველია, სასარგებლო და ნაყოფიერია იმათი მსჯელობაც, მოქმედებაც და ცხოვრებაცა. ეს უპირატესი მუხლები და დედა-აზრები აყენებენ კაცს და საზოგადოებას ნამდვილს ადამიანურს კვალზე, აძლევენ მაღ ღონეს და გამბედაობას კაცისა და საზოგადოების სურვილს და მოთხოვნილებას, უნვითარებენ ნიჭს და ხასიათს. მართლი ჩვენი სათქმელი და საზოგადობრივი აზრი მიმართა მართალი დედა-აზრებისა და მეცნიერების საზოგადო მიმართულებისათვის, თანამედროვე ფილოსოფიისა და მოწინავე ლიტერატურის აზრების მიღებისათვის .. ამაზედ უარესი მდგომარეობა წარმოუდგენელია, და მე რაღაზედ მისაყვედურებ, რომ არ ვიცი...

მე გავჩუმდი; ვერაფერი ვერ მოვახერხე. მეგობარი მომიტრიალდა, მარჯვენა მკლავი ჩემსკენ გამოიშვირა, ხელი მაგრად ჩამომართვა და თავის სახლისკენ გასწია.

და მე-კი შორიდგან განცვიფრებული შევყურებდი ამ გაბედულად მიმავალს, მსჯელობით მკაცრს, მაგრამ გულ ით ყოვლად-პატიოსანს ყმაწვილ-კაცს.

ხოპელი.

და სამასეულიდამ დაითხოვას. მაქართველამ დასწყებინა კარგამა გემის ერთი მოქმედება. ქრისტე დიდი მკვლევარი.

ბერლინი. ჰერცოგის სამეხ კრება დაიწყო სამეფო სიტყვით, რომლითაც უფრო მინდვან საქმის შეცვლა. კრებამ საქმეთა გამოცხადება სახელმწიფოთაგან ჰერცოგის ქვეყნის განწყობილების ქმნის.

პარიჟი. წელს თუ არა ოფიციალური პრეზიდენტი მოიწვევს, სადაც გამოწვევის იმპერატორის ქვეყნის შეცვლის მიზეზით 25 წლის იუბილეისათვის მეფეების წინაშე არ მოხსენება.

ფლორეკ სულ-მორეულ ავადმყოფის დაესწრა პრეზიდენტი.

პეტერბურგი. გამოცხადებულია მოსალოდნელი სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი 1890 წლისათვის: შემოსავალი 899 მილიონი, გასავალი 887 მილიონი. შემოსავალი მეტია ხარჯზე 1,440,000 მან. შემოსავალი შემცირდება 7 მილიონით მეტად მოსალოდნელი, ხარჯი 28 მილიონით მეტი.

პეტერბურგი. უმთავრესი მოგებანი მეორედ შინაგანი სესხის დღევანდელის ტირაჟისას შეხვდა:

| №№ სერიის | №№ ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|
| 9413 | 24 | 20 000 |
| 70 1 | 25 | 75 000 |
| 13593 | 14 | 45,000 |
| 13614 | 32 | 25,000 |
| 19805 | 17 | 10 000 |
| 7544 | 30 | 10,0 0 |
| 3306 | 49 | 10,000 |
| 2027 | 4 | 8,000 |
| 11526 | 31 | 8,000 |
| 16813 | 31 | 8.000 |
| 18511 | 23 | 8,000 |
| 9965 | 41 | 8 000 |
| 4095 | 14 | 5 000 |
| 18569 | 8 | 5,000 |
| 11494 | 47 | 5.000 |
| 10384 | 9 | 5,000 |
| 14376 | 46 | 5,000 |
| 921 | 44 | 5. 00 |
| 1269 | 42 | 5 000 |
| 11359 | 49 | 5,000 |

პეტერბურგი. დღეს მომ. გზის შიდა-შინის ტირაჟი გამართულა. ათასი მანეთის მოგება ხვდა: № 1850—19, 9585—2, 472—12, 5214—32, 16397—29, 3366—26, 14124—15, 4118—2, 16125—1, 7606—5, 2207—18, 1122—40, 12335—18, 14526—3, 5281—20, 14744—10, 8817—3, 8482—1, 1846—38, 14364—25.

პეტერბურგის ბირჟა, 7 იანვარი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მ. | კ. | მ. | კ. |
| ხუთ მ ნათანი ოქრო | — | „ | 7 | 28 |
| ვ-მოვნის კუპონები | — | „ | — | 144½ |
| მანეთიანი ვერცხლ. ს ფული | — | „ | 1 | 10 |
| 5% მორეულის შინაგანის სესხის ბილეთი | — | „ | 2 | 45 |
| — მეორის | — | „ | 2 | 2 |
| — მესამ ის | — | „ | — | 22062 |
| გირავნობის ფურცელი თავადაზნაურთა ბანკის | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკის | — | „ | — | „ |
| თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების | — | „ | — | „ |

# განცხადებანი

ვთხოვ ყველას, ვისაც სურდეს ან აქვს წერილის ნაწერები ან ბიოგრაფიული ცნობები, დაიბეჭდოს ან ფული გამოგზავნოს ან ჩემი საბეჭდი ნაწერი გამომცემლობაში.

შიო დავიდოვი.

მოსწავლედ მოსული ქალი-მოდისტი მოემზადე ქალებს სამუშაოს, ან ადგილს ოჯახობაში ან სამკერვალოებში.

Пріѣзжая изъ Москвы модистка – портниха, съ рекомендацію, ищетъ мѣста или занятія въ семействѣ или магазинѣ. Адресъ въ конторѣ Ш. Давидова.

## АГЕНТУРА КНИЖНАГО МАГАЗИНА
## Гебетнера и Вольфа
из ВАРШАВЫ.

Дворцовая ул., каравансарай б Арцруни, при справочной конторѣ Ш. Э. Давидова.

Принимаетъ подписку на всѣ варшавскія а равно иностранныя періодическія изданія по редакціоннымъ цѣнамъ. Посредничаетъ при выписке книгъ на польскомъ, французскомъ, нѣмецкомъ и англійскомъ языкахъ.

Каталоги можно просматривать на мѣстѣ.

# „ЭКССИКАТОРЪ"
## ИЗОБРѢТЕНІЕ
## ИН.-ТЕХ. РИТТЕРА
ВЪ ВАРШАВѢ.

Вѣрное испытанное средство, удостоенное многихъ свидѣтельствъ и отзывовъ.

## ВЫВОДИТЪ СЫРОСТЬ,

предохраняетъ дерево отъ грибка, гніенія и порчи, замѣняетъ масляныя краски, дезинфектируетъ конюшни и пр.

Единственный представитель въ Закавказьи и Закаспійскомъ краѣ Ш. Давидовъ.

Адресоваться въ контору «ТЕАТРЪ», Тифлисъ, Дворцов. ул.

დაიბეჭდა და იყიდება
გრ. ჩარკვიანის და რომ. ფ. ცაბაძის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
შინაარსით გამოცემული
# „საერო კალენდარი"
მხატვრობითი
# 1890 წლისა.
კალენდარში მოთავსებულია ყოველი გვარი კალენდარული ცნობანი და სურათებით არის შემკული.
ფასი 40 კაპ.

იქვე იყიდება
## 1890 წლის
# ჯიბის
## ქართული კალენდარი
წულუკიძის გამოცემა,
კალენდარი ქართველთა, კათოლიკეთა და სომხეთა; საზოგადო ცნობები, შესანიშნავი ისტორიული მოვლენანი, მოგზაურის ანგარიში, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ნაკლებოდამ, დამატებიდამ და ქართული საქმეების მომზადება.
ფასი 40 კ.

# „ივერია"
გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ფასი ჯურნალ-გაზეთისა აქ 1890 წლისათვის, მიიღებიან:

თბილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თბილისის სახლებში № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავადაზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

გაზეთის ფასი.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თორმეტი თვით | 10 მ. | — კ. | ექვსი თვით | 6 მ. | — კ. |
| „ 11 „ | 9 „ | 50 „ | „ 5 | 5 „ | 25 „ |
| „ 10 „ | 8 „ | 75 „ | „ 4 | 4 „ | 75 „ |
| „ 9 „ | 8 „ | — „ | „ 3 | 3 „ | 50 „ |
| „ 8 „ | 7 „ | 25 „ | „ 2 | 2 „ | 75 „ |
| „ 7 „ | 6 „ | 50 „ | „ 1 | 1 „ | 50 „ |

თბილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ფული პირდაპირ რედაქციაში წარმოადგინეს ან გამოგზავნეს.

# „ექსიკატორი"
სინოტივეს სპობს კედლებში, იფარავს ხეს ლპობისაგან, ისე როგორც ზეთით შეზავებული საღებავი შენობისათვის და ხის მასალისათვის; [illegible] ბაკებს.

ვისაც გამოწერა სურს, მიჰმართოს შიო დავიდოვს; გაზეთ „თეატრის" კანტორა.

სამეურნეო გაზეთი
# „მეურნე"
გამოდის კვირაში ერთხელ
(წელიწადში 48 ნომერი).

გაზეთი „მეურნე" მომავალ 1890 წ. გამოიცემა იმავე პროგრამით და სივრცით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

გაზეთის ფასი

| თბილისში | | თბილისს გარეთ | |
|---|---|---|---|
| 1 წლის . . . | 4 მ. | 1 წლის . . . | 5 მან. |
| ½ „ . . . | 2 მ. 50 კ. | ½ „ . . . | 3 მან. |

ცალკე № 15 კაპ.

განცხადებანი მიიღება გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უცხოენოვანი გვერდზედ და 5 კ. პირველ გვერდზედ.

ხელის მოწერა მიიღება: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რუსთის ქუჩაზედ, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიმართონ თვითონ რედაქციას, შემდეგი ადრესით: Тифлисъ, въ ред. газ. „Мэурнэ".

გაზეთის გაგზავნის გამო რედაქცია პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ფული პირდაპირ რედაქციაში წარმოადგინეს.